

Image not found or type unknown

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს მორიგი გადაწყვეტილება ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭომ, 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცოტნე გეგეჭკორის და ირაკლი ჩიხლაძის წინააღმდეგ](#), საია-ს მიმართ ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტების მიერ ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევა დაადგინა. გადაწყვეტილების თანახმად, ცოტნე გეგეჭკორმა და ირაკლი ჩიხლაძემ დაარღვიეს ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპები, რომლებიც მაყურებლისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას და ფაქტის განზრახ დამახინჯების აკრძალვას ითვალისწინებს.

საბჭოს განმარტებით, ტელეკომპანია [D\[REDACTED\] A](#) ეთერში სიუჟეტების სერია სათაურით [D\[REDACTED\]](#) ენჯელების კლანი [A\[REDACTED\]](#) მიედევნა არასამთავრობო ორგანიზაციის დისკრედიტაციას და ჰქონდა კამპანიური ხასიათი.

გემოაღნიშნული გადაწყვეტილება 2022 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის რიგით მესამეა, რომლითაც დადგინდა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტები საია-ს მიმართ არღვევენ ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებს. საბჭომ დარღვევები ასევე დაადგინა შემდეგ საქმეებზე: [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ნათია სონდუღაშვილის, ლევან კვატაშიძის, ლევან ჯაფახიშვილის, ხატია ქვათაძის და ნინო თოლორდაგას წინააღმდეგ](#) და [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ირაკლი ჩიხლაძის და ნათია თოიძის წინააღმდეგ](#).

საბჭომ უკვე არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ტელეკომპანია [D\[REDACTED\] V](#) შეიმჩნევა არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიის არსებობა. ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში მკვეთრად არის აქცენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაცია და მათი საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მსგავს შინაარსს ატარებს ასევე შემდეგი გადანყვეტილებები: ~~საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ლევან ქათამაძე რუსა შელიას და ვაკა გორგილაძის წინააღმდეგ~~; ~~ლეონ ნატროშვილი ანუკი გუმბერიძის, ლევან ჯავახიშვილის და თეონა გვეგელიას წინააღმდეგ~~ ~~საია~~ ~~ნათია სონღულაშვილის წინააღმდეგ~~ ~~საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ირაკლი ჩიხლაძის და ნათია თოიძის წინააღმდეგ~~".

ვიმედოვნებთ, ტელეკომპანია **DP** შეწყვეტს საია-ს წინააღმდეგ მიზანმიმართულ კამპანიას და თავის საქმიანობაში შეძლებს ეთიკის პრინციპების სრულად დაცვას.